საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლის 10 მაისიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო
«ЛЕЧХУМИ» — Орган Цагерского райкома Компартии Грузии и Цагерского районного Совета народных депутатов

14 აგვისტო 1990 წელი №97 (6323) სამშაბათი ფასი 5 კაპ.

მკითხველს ვთავაზობთ:

* კონსოლიდაცია—ოცნება თუ სინამდვილე?
* მთავარია ეროვნული ინტერესები
* ჩემი მოსაზრება
მე-2 გვ
* ძღვავი საკვირველი
* თერთმეტი დღე კრემლის ყრილობათა სასახლეში
მე-3 გვ
* კოოპერატივი „ცაგერი“ გვთავაზობს
მე-4 გვ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხურ მეურნეობაზე გადადიან

გაიმართა ლასურიაშის კოლმეურნეობის კოლმეურნეთა საერთო კრება.

კრებაზე, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გატარებული მუშაობის შესახებ ინფორმაცია გააკეთა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ რ. მუშკუდიანმა.

კრების მონაწილეებს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე: ცაგერის სახალხო დეპუტატთა მე-20 მოწვევის რაიონული საბჭოს მეთოთხმეტე სესიის გადაწყვეტილების „რაიონში გლეხური მეურნეობების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ შესრულების მიმდინარეობაზე ესაუბრა სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაიონული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. მ. ჭაბუკიანი.

ცაგერის რაიონში გლეხური მეურნეობების განვითარების შესახებ დროებითი დებულება დამსწრეებს გააცნო აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილემ შ. ს. ყვირილიანმა.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს კოლმეურნეობის ნაცვლად შეიქმნას გლეხური მეურნეობები.

კრებამ აირჩია კოლმეურნეობაში გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის უზრუნველყოფის კომისია კოლმეურნეობაში შემავალი ყველა სოფლის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

ჩვენი სოფლის ადამიანები

თუ კაცი გონიერია..

ოდითგანვე ქართული მიწა-წყლის ეკონომიკურ ძლიერებას გლეხი კაცის გარჯით შექმნილი უმყარებდა საფუძველს, მდიდარი იყო გლეხი და მდიდარი იყო საქართველოც. იმ წლებმა, ახლა რომ „უძრაობის“ წლებს ვუწოდებთ, სწორედ მშრომელი კაცის რიცხვი შეგვიმცირა სოფლად და ახლა, როდესაც სასიცოცხლო ძარღვებდაშრეტილ ჩვენს სოფლებს შევყურებთ, ლამისაა ვირწმუნოთ, რომ ძალზე ძნელია ქართული ტრადიციული სოფლის ხელახალი ფესვის გამაგრება. მაგრამ მომავლის იმედია დღეს ყოველი ფუძეძლიერი ოჯახი სოფლად, ლეჩხუმის მართლაცდა მშვენიერი ბუნებით დაჯილდოებული მხარის, მისი ეკონომიკის მომავლის საყრდენად გვეიმედება თითოეული მზრუნველად შემორაგვული ეზოს და გამართული კარ-მიდამოს შემქმნელი და პატრონი.

სოფელ ლარჩვალში, საბედნიეროდ, თითზე ჩამოსათვლელად არ შემცირებულა სამეურნეო საქმეს შეთვისებულ მშრომელთა რიცხვი, მაგრამ ეროონომ ჭიჭიკო ხეცურიანის ოჯახის სიყვარული, დაუდგომელი ზრუნვა სოფლის ყოველი საქმისადმი გამორჩეულია. უხვია და ნაყოფიერი მათი შრომა, და რაც მთავარია, მაგალითია იმისა, რომ სოფელშიც გონიერ მეურნეს მცირე მექანიზაციაზე დაყრდნობითაც შეუძლია შექმნას ეკონომიკურად წელში გამართული ღონიერი ოჯახი. აკი უთქვამთ: „თუ კაცი გონიერია, სოფელიც ღონიერია“.

ხეცურიანების ოჯახურ მეურნეობაში საქონელსაც უვლიან, ვენახსაც და ყანასაც. გაზაფხულზე თავდაუზოგავ შრომას ზვარსა თუ მინდორში, შემოდგომის დოვლათი ცვლის, ახლად დაწურული ღვინის სურნელი თუ თეთრი სიმინდით სავსე ბელლები. დადგება მცხუნვარე თიბათვე და სათიბისაკენ მიეშურებიან, ცხოველებისათვის საკვებსაც დროზე მოიმარაგებენ და ნაპატიებ პირუტყვიდან მიღებული რძით, ხორცით თუ ყველით საკუთარ ოჯახსაც ამარაგებენ, ნამეტ პროდუქტს კი სახელმწიფო ფასებში ჰყიდიან.

ოჯახურ მეურნეობაში შრომობს მამაც და შვილებიც, დედაც და რძალიც. ამიტომაც ამბობენ სოფელში: „დღედაღამ შრომობენ და დოვლათიანი ოჯახიც აქვთო“.

სულ მალე შემოდგომის დღეებიც გვესტუმრება, მშრომელი კაცის მთელი წლის გარჯის ნაყოფის შემფასებელი, კვლავ ხვავიანი და ბარაქიანი მოსავლის მოლოდინში არიან ხეცურიანები, ნუ მოჰკლებოდეთ სიუხვე თავიანთი სოფლის, ლეჩხუმის ეკონომიკური სიმდიდრის წყაროდ.

ლ. ცხვედიანი.

ოსმონავტები დედამიწაზე დაბრუნდნენ

1990 წლის 9 აგვისტოს, 11 საათსა და 35 წუთზე, „მირ“ პილოტირებულ კომპლექსში გამოკვლევათა და ექსპერიმენტთა პროგრამის მორიგი ეტაპის დამთავრების შემდეგ კოსმონავტები ანატოლი ! სოლოვიოვი და ალექსანდრე ბალანდინი დედამიწაზე დაბრუნდნენ.

„სოიუზ ტმ-9“ ხომალდის დასაშვები აპარატი დაჯდა გათვალისწინებულ რაიონში—72 კილომეტრზე ქალაქ არქალიკის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

ეკიპაჟმა ჩამოიტანა 130 კილოგრამი ტვირთი განხორციელებული გამოკვლევებისა და ექსპერიმენტების მასალებით. მუშაობას ორბიტაზე განაგრძობენ გენადი მანაკოვი და გენადი სტრეკალოვი.

როცა გული გულობს

დრო სწრაფად გარბის და რატომღაც ვფიქრობ, რომ ის უფრო აჩქარებულია საქმისათვის. დროის სრბოლას ვერც კი გრძნობს, ისეა გართული ათასი საზრუნავით.

ეს კაცი წიფერჩელი ჯემალ მაქსიმეს ძე დავითულიანია. ათეული წლებია №23 საგზაო სამმართველოს მძღოლია. შრომით კოლექტივში პატიოსანი, გამრჯე მუშაკაცის სახელი აქვს დამკვიდრებული, რა დავალებასაც მისცემენ უხინჯოდ ასრულებს, რომ იტყვიან გულიანი კაცია. კარგია, როცა შენი პროფესიის ერთგული ხარ, მაგრამ ერთიორად გასახარელია, როცა ამასთან ერთად მთელ ძალ-ღონეს ახმარ ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრას, როგორიცაა სასურსათო პროგრამის შესრულება.

—რესპუბლიკაში შექმნილ სიტუაციაში აუცილებელია თითოეულმა ჩვენთაგანმა ყველაფერი ვაკეთოთ, რათა შევქმნათ ეკონომიკის განმტკიცების აუცილებელი პირობა, ხშირად ამბობს ჯემალი თანამოსაქმეებთან.

ჯემალ დავითულიანს უკან მოხედვის არ ეშინია. იგი წიფერჩის კოლმეურნეობაშიც აქტიურად შრომობდა და საჯარო შრომაშიც ერთ-ერთი პირველი ჩაება. მოსავლელად გაიპიროვნა 0,2 ჰექტარი ვენახისა და 0,4 ჰექტარი სასიმინდე ფართობები მას მხარში უდგას მეუღლე, ლილი სასოფლო საბჭოს აღმასკომთანგარიშეა. აბრეშუმის მოვლაშიც აქტიურია, ცოლ-ქმარი მზის ამოსვლას ყანასა და ზვარში ეგებებიან, მერე კი სამსახურში მიიჩქარიან. გამრჯე ხალხს ოჯახიც ძლიერი აქვს, მარტო ის რად ღირს, რომ ქვეყანას კარ-მიდამოში გაზრდილი პირუტყვის 237 კილოგრამი ხორცი და 25 კილოგრამი ყველი მიჰყიდეს, განზრახული აქვთ წელსაც არ ჩამორჩნენ. დიახ, დღეს ეკონომიკას შრომის მოსიყვარულე, ჯანსაღი გონების ადამიანები წარმართავენ.

ახლა საკვების დამზადების გადამწყვეტი დღეებია, იცის ჯემალიმ, რომ საკვები ბაზა პროდუქტიულობის ზრდის მნიშვნელოვანი პირობაა და იგიც თიბავს როგორც კი საშუალებას გამონახავს.

ჯემალი გულისხმიერი მეუღლე და მამაა. რომ ჰკითხოთ მიმდინარე წელს შენს ცხოვრებაში რა არის მნიშვნელოვანი თქო, იგი გიპასუხებთ—ჩემი ერთადერთი შვილი უმაღლეს სასწავლებელში ჩაერიცხაო. ნატომ წელს დამთავრა ბარდნალის საშუალო სკოლა და მალე ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის აუდიტორიაში ამაყად შეაბიჯებს.

სიხარული ნუ მოკლებოდეს გამრჯე და შრომისმოყვარე ოჯახს.

ბ. ბაქრაძე.

ახალი ამბები

● გამოქვეყნდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულება სსრ კავშირის სახელმწიფო ქონების ფონდის შექმნის შესახებ, რომელშიც ახლებურად დგას სსრ კავშირის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასა და მართვაში სახელმწიფო ფუნქციათა საკითხი.

● ამას წინათ შედგა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლების შეხვედრა საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროებს კომიტეტის ხელმძღვანელობასთან. განხილულ იქნა სახელმწიფო უშიშროების სამსახურის, საკავშირო დიქტატისაგან მისი განთავისუფლების, უშიშროების კომიტეტის დეიდეოლოგიზაციისა და დეპარტიზაციის, სუვერენულ საქართველოში დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სამსახურის ფუნქციონირების, 30-იან წლებში რეპრესირებულთა საერთო სამარხების გამოვლენის საკითხები.

● სოფელ ლესელიძის ცენტრალურ მოედანზე 8 აგვისტოს გაიმართა ქალაქ გაგრის ზონის მცხოვრებთა მრავალათასიანი საპროტესტო მიტინგი. იგი მიეძღვნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე „მესხეთელი თურქების“ მოსალოდნელ სვლას.

● გამოქვეყნდა საქართველოს პროფკავშირების დამოუკიდებლობის დეკლარაცია, რომელიც 1990 წლის 3 აგვისტოს მიიღო საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციის საბჭომ.

● გამოვიდა კიდევ ერთი ეროვნული გაზეთი-სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის საქველმოქმედო საზოგადოებისა „შარავანდი“.

პროექტები არის, თქვენი აზრი?

საქართველოს უზენაესი საბჭოს მომავალი არჩევნები ქართველი ხალხის ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური მოვლენაა. პრესაში ფართო განხილვისათვის გამოქვეყნებული უზენაესი საბჭოს არჩევნების ალტერნატიული პროექტები დიდი გულისყურითა და სიფრთხილით განიხილება.

გთავაზობთ შენიშვნებსა და მოსაზრებებს პროექტების იერგვლივ.

კონსოლიდაცია: ოცნება თუ სინამდვილე?

ამ ბოლო დროს ოფიციალურ თუ არაოფიციალურ პრესაში ხშირად აღნიშნავენ კონსოლიდაციის აუცილებლობის თაობაზე. აღნიშნავენ, რომ ქართველმა ერმა გამოიღვიძა, ეროვნული მოძრაობა ძლიერდება, ვერც ერთ ქართველს ვერ ნახავთ რომ ნანატრ თავისუფლებაზე არ ოცნებობდეს და ა. შ. საბოლოოდ აკეთებენ დასკვნას, რომ მხოლოდ პოლიტიკური ძალების კონსოლიდაციითაა შესაძლებელი საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა. დასკვნის ჭეშმარიტებაში ეჭვი არც შეგვაქვს, მაგრამ რამდენად რეალური საფუძველი გვაქვს ამისათვის?

შვიდი ათეული წლის მანძილზე საბჭოთა იმპერიის დემაგოგიურმა პროპაგანდამ თავისი საქმე გააკეთა. საბჭოთა ხალხად მონათლული ქართველების არც თუ ისე უმნიშვნელო ნაწილის ეროვნული თვითშეგნება იმდენად დაეცა, რომ არც სახელმწიფოებრიობის დაკარგვა და არც ძისი აღდგენა მათზე ზემოქმედებას თითქმის არ ახდენს. მოკლენებიც ისე ვითარდება, რომ საქართველო კონსოლიდაციისაკენ კი არა, კონფრონტაციისაკენ უფრო მიდის. ოპოზიციური ძალები მთელ რიგ ბრალდებებს უყენებენ ზოგადად ოფიციოზს, კონკრეტულად კი იშვიათად თუ დაასახელებენ ვინმეს. ოფიციოზიც თავის მხრივ, ძირითადად კომუნისტური პრესის საშუალებით „აღშფოთებას“ გამოხატავს იმის გამო, რომ ეროვნულ მოძრაობას მიეტმასნენ სხვადასხვა ჯგუფის დამნაშავეები, პირადი ამბიციებით შეპყრობილი ადამიანებიო. კონკრეტულად აქაც არავის ასახელებენ. მაშასადამე, მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდება, როცა ჯერ დასახელებაზე მივა.

თავად ოპოზიციურ ძალებს შორის არსებული განხეთქილებაც გაიზრდება. კერძოდ, სექტემბრის ბოლოსათვის დანიშნული ეროვნული კონგრესის არჩევნების შემდეგ, ამ არჩევნებში, ალბათ საქართველოს მოსახლეობის ნახევარმაც შეიძლება არ მიიღოს მონაწილეობა. ეროვნულ მოძრაობაში ექსპერიმენტების ჩატარებამ არამგონია რამე სარგებლობა მოგვიტანოს.

გასათვალისწინებელია ათასობით კომუნისტის პოზიციაც. ისინი მალე კოლექტიურად გამოვლენ სკკპ-დან და შექმნიან საკუთარ კომპარტიას. ეს ის პარტიაა, რომელსაც 9 აპრილის სისხლიანი ამბებისათვის პარტიულ-პოლიტიკური შეფასებაც კი არ მიუუცია არც რესპუბლიკურ, არც საკავშირო პარტიულ ყრილობაზე და არც რომელიმე პლენუმზე.

თუ ყოველივე ზემოთ თქმულს დავუმატებთ ყოველ წუთს მოსალოდნელ ეთნოკონფლიქტებს, მაშინ ეროვნული კონსოლიდაცია ისევე მიუწვდომლად წარმოგვიდგება, როგორც კომუნიზმი.

ერთადერთ სწორ გზად მესახება დემოკრატიულ, მრავალპარტიულ უზენაესი საბჭოს არჩევნებში რესპუბლიკის ინტელექტუალური ძალების გამარჯვებისათვის ბრძოლა. ამ საქმეში ხელისუფლება პასიურობს, რადგან სავარძლის შესანარჩუნებლად მას არც თუ უსაფუძვლოდ მრავალრიცხოვანი პასიური ამომრჩევლის იმედი აქვს. აქ ოპოზიციური ძალების მეტი აქტიურობაა საჭირო, მაგრამ რა თქმა უნდა, არა ბრძოლის ბოლშევიკური მეთოდებით, რასაც სამწუხაროდ ზოგჯერ ადგილი აქვს. თუ ერთი ძალმომრეობა მეორეთი შეიცვლება, თუ კვლავ უნიჭობა და უსამართლობა აღზევდება, მაშინ ასეთ დამოუკიდებლობას რაღა ფასი ექნება.

იმედს გვაძლევს ისიც, რომ ეროვნული მოძრაობა საკავშირო პროცესად გადაიქცა. ბალტიისპირეთის რესპუბლიკების გზას დაადგნენ რუსეთი, უკრაინა, მოლდავეთი, ბელორუსია. შორს არ არის ის დრო, როცა ცენტრისმოყვარული შუა აზიის რესპუბლიკებიც მოინდომებენ თავიანთი ბედის თავადვე განსაზღვრას.

რაც არ უნდა მოხდეს, დარწმუნებული ვარ ოცდამეერთე საუკუნეს საქართველო სრულუფლებიან სახელმწიფოდ შეხვდება.

ჯემალ საღინაძე.

მთავარია ეროვნული ინტერესები

ქართველმა ხალხმა დემოკრატიულ, მრავალპარტიულ საფუძველზე უნდა აირჩიოს ჭეშმარიტად მისი ნების გამომხატველი, ცივილიზებული ერის შესაფერისი პარლამენტი.

ამიტომ დღეს არ გვეგულვება ქართველი, რომელიც არ ფიქრობდეს იმაზე, რომ მთავარია გონიერებით, სიფრთხილით მოვეკიდოთ საარჩევნო კანონპროექტების განხილვას, არავის აქვს უფლება თუნდაც მცირე შეცდომის დაშვებისა, რადგან საქმე ეხება ერის ბედს, მის სასიცოცხლო ინტერესებს.

სავსებით ბუნებრივია ცხოველი ინტერესი და დისკუსია, რომელიც კანონპროექტებმა გამოიწვია. საქართველოს სახალხო ფრონტის ლეჩხუმის რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობას, წევრებს აქვთ თავიანთი მოსაზრებანი კანონ-პროექტების გარშემო. მიგვაჩნია, რომ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიმდინარე წლის 17 აგვისტოს სესიამ მხარი დაუჭიროს საარჩევნო კანონის იმ პროექტს, რომელიც შემუშავებულია ოპოზიციური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ (გაზეთი „კომუნისტი“ №176-177, 1 აგვისტო, მე-2 პროექტი).

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კანონპროექტი გამოხატავს საქართველოს ინტერესებს და ემყარება დემოკრატიის საერთაშორისო პრინციპებს.

კანონპროექტის ქვაკუთხედს წარმოადგენს შემდეგი პუნქტები:

—საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური ორგანიზაციების რეგისტრაცია მოხდეს მხოლოდ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ.

—საოლქო-საარჩევნო კომისია იქმნება მხოლოდ ცენტრალური საარჩევნო კომისიის დამტკიცებით (და არა რაიაღმასკომის დღევანდელი ხელისუფლების, სხვა ადგილობრივი ორგანოების მიერ, როგორც აქამდე იყო).

—დეპუტატთა არჩევა უნდა ხდებოდეს შერეული მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემით, ანუ ისეთი სისტემით, როცა კენჭი ეყრება პიროვნებასაც (საარჩევნო ოლქების მიხედვით) და პოლიტიკურ პარტიებსაც მთელი რესპუბლიკისათვის ერთიანი სიების მიხედვით.

—არჩევნებში არ მონაწილეობენ ის სამხედრო მოსამსახურენი, რომლებიც მსახურობენ ისეთ სამხედრო ან გასამხედროებულ შენაერთებში, რომლებიც არ ექვემდებარებიან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების იურისდიქციას.

—იმისათვის, რათა საქართველოში შემთხვევით და დროებით შემოსულმა პირებმა არ მიიღონ მონაწილეობა საქართველოს ბედის განმსაზღვრელი ორგანოს არჩევნებში, დაწესებული უნდა იქნას აქტიური—საქართველოში ცხოვრების 5 წელი და პასიური —საქართველოში ცხოვრების 10 წელი საარჩევნო ცენზი.

—უზენაესი საბჭო უნდა შედგებოდეს 201 დეპუტატისაგან (და არა სამასისაგან).

—საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის უფლება არა აქვთ იმ პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომელთა პროგრამა მოუწოდებს ძალადობისაკენ, ერთა შორის შუღლისაკენ, საქართველოს ტერიტორიული დანაწევრებისაკენ ან რომლებიც რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ არსებული პოლიტიკური პარტიების სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენენ.

—საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი იმავდროულად არ შეიძლება იყოს სახელმწიფო ხელისუფლების სხვა არჩევითი ორგანოს წევრი.

—საარჩევნო ბიულეტენი იბეჭდება ქართულ ენაზე (აფხაზეთში საჭიროების მიხედვით აგრეთვე აფხაზურ ენაზე).

—საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრად არ შეიძლება იყვნენ ის პირნი, რომელნიც ჩამოთვლილნი არიან პროექტის მე-9 მუხლში.

სესია აუცილებლად უნდა იქნას ტელეტრანსირებული.

ჩვენის ღრმა რწმენით, მთავარია ეროვნული ინტერესები, საქართველოს ბედი.

ლეჩხუმის რეგიონალური სახალხო ფრონტის გამგეობა.

ჩემი მოსაზრება

როგორც ცნობილია, შემუშავებული და გამოქვეყნებულია საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების კანონის სამი პროექტი. სამი ვარიანტი და ხმირად სვამენ კითხვას, რომელი სჯობს საქართველოს მომავლისათვის. ჩემი აზრით არც ერთი პროექტი სრულყოფილი არ არის, სამივე პროექტს აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითიც, ამიტომ მიმაჩნია კანონის პროექტების შემმუშავებელმა კომისიამ უნდა მოახდინოს სამივე პროექტის ურთიერთშერწყმა, ურთიერთშეჯერება, შეიმუშაოს კანონის ერთი პროექტი და თუ უკვე გვიანი არ არის, წარადგინოს ის სახალხო განხილვისათვის.

არ მიმაჩნია მართებულად კანონის პირველი პროექტის მეთერამეტე მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატებად არ შეიძლება არჩეული იქნენ ის პირნი, რომლებიც შედიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აგრეთვე აფხაზეთის და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების შემადგენლობაში, გარდა თავმჯდომარეებისა, აგრეთვე რესპუბლიკური სხვა ორგანოების ხელმძღვანელები და პირნი, რომლებიც შედიან ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შემადგენლობაში და სხვა. ამ ორგანოებში მუშაობენ, ყოველ შემთხვევაში უნდა მუშაობდნენ (და უნდა იმუშაონ შემდეგშიც) ყველაზე მცოდნე და საქმიანი ადამიანები, თუ არა და ვინ უნდა იყოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი? გვეყოფა კი ჩვენ ძალები მათ გარეშე უზენაესი საბჭოს დაკომპლექტებისათვის?

მიზანშეწონილად არ მიმაჩნია კანონის მეორე პროექტის მეორე მუხლი, სადაც აღნიშნულია რომ საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევის უფლება აქვს საქართველოში ბოლო 5 წლის განმავლობაში მუდმივად მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეს, ხოლო საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატად შეიძლება არჩეული იქნას საქართველოში ბოლო 10 წელიწადს მუდმივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქე და რატომ? განაცოცხა გვყავს საქართველოს ღირსეული შვილები, განათლებული, პატრიოტი ადამიანები, რომლებიც რესპუბლიკის გარეთ, საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში ცხოვრობდნენ (ამას კანონი არ კრძალავს) იქ მეცნიერულ ან სხვა ღირსეულ მუშაობას ეწეოდნენ, ჩამოვიდნენ და საქართველოში ცხოვრობენ 4 ან 9 ბოლო წლების განმავლობაში, რატომ არ უნდა ჰქონდეთ მათ უფლება აირჩიონ უზენაესი საბჭოს დეპუტატი. ამით ჩვენ ხომ არ დავკარგავთ ბევრ ისეთ ადამიანს, რომელსაც დიდი წვლილის შეტანა შეუძლია დამოუკიდებელი საქართველოსათვის ბრძოლაში?

კანონის მესამე პროექტის მეორე მუხლში ნათქვამია, რომ საქართველოს მოქალაქე არ შეიძლება იყოს ერთდროულად ერთზე მეტი საბჭოს დეპუტატი, გარდა საქართველოს, აფხაზეთის და აჭარის უზენაესი საბჭოების თავმჯდომარეებისა. მე მიზანშეწონილად მიმაჩნია საქართველოს მოქალაქე ერთდროულად იყოს ორი საბჭოს დეპუტატი. განსაკუთრებით ამ ეტაპზე, როცა საქართველო არ არის დამოუკიდებელი, როცა ჩვენ მცოდნე, ღირსეული ერის შვილები, ერის კაცები, პატრიოტი ადამიანები გვჭირდება, როგორც საქართველოს უზენაეს საბჭოში, ასევე საბჭოთა კავშირის საბჭოში. გვყავს კი ჩვენ მცირერიცხოვან ერს იმდენი ერისკაცი, რომ ორივე საბჭოს გავწვდეთ?

დაბოლოს, ერთი მოსაზრებაც. კანონის მეორე და მესამე პროექტებში ნათქვამია, რომ საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების დასახელების უფლება აქვთ პოლიტიკურ პარტიებს, გაერთიანებებს, პარტიების ბლოკებს. ჩემი აზრით მიზანშეწონილად მიმაჩნია საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელების უფლება არ უნდა ჰქონდეს არცერთ პოლიტიკურ პარტიას, არცერთ პარტიების ბლოკებს, საერთოდ აქ უნდა გამოირიცხოს პარტიულობა. საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები უნდა დაასახელოს ხალხმა, საარჩევნო ოლქების მიხედვით ოლქის ამომრჩევლებმა ნამდვილ დემოკრატიულ საფუძველზე (როგორ, რა გზით და მეთოდებით მოხდეს დასახელება, შესამუშავებელია) და არჩევნების ჩატარების შემდეგ გაირკვევა, რომელი პარტიის მეტი წარმომადგენელი მოხვდება უზენაეს საბჭოში, რომელ პარტიას ენდობა და გაჰყვება ხალხი.

რა დემოკრატიაა, როდესაც ვთქვათ ცაგერის საარჩევნო ოლქში უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს ასახელებს თბილისის რომელიღაც იურიდიული გაერთიანება, საშუალო სპეციალური სასწავლებლის კოლექტივი ან რომელიმე პარტია, რომელიც ლეჩხუმში საერთოდ არ არის. ამ ოლქის ამომრჩევლები თვით შეარჩევენ ღირსეულ კანდიდატურებს, დაასახელებენ და აირჩევენ კიდეც.

გ. ხვადაგიანი,
ქვედა ცაგერის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

მეისტორიევ, გაშალე წიგნი!

ძლევაი საკვირველი

„დიდგორობის“ ყოველწლიური დღესასწული აგვისტოში, დიდგორის ბრძოლის დამთავრების დღეს იმართება. ეს დღესასწაული დამოუკიდებლობისა და პროგრესისათვის მებრძოლთა—დიდგორის გმირების—ხსოვნასაც ეძღვნება.

დიდგორის ბრძოლა განაპირობა მე-11 საუკუნისა და მე-12 საუკუნის პირველი მეოთხედის ფეოდალური საქართველოს საშინაო და საგარეო პირობებმა. ამიტომ სანამ თვით დიდგორის გმირულ ეპოპეას შევეხებოდეთ, საჭიროა მოკლედ გავეცნოთ იმ ვითარებას, რაც იმდროინდელ საქართველოში შეიქმნა და რამაც წარმოშვა ამ ბრძოლის მიზეზები.

მეთერთმეტე საუკუნის 80-იან წლებში საქართველო მეტად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. თურქების გამუდმებული თავდასხმებისაგან აღმოსავლეთი აოხრებული იყო, ქართლისა და კახეთის ბარის ზოგი თემი გაუკაცრიელებულ, ტყით დაბურულ მხარედ გადაქცეულიყო. ამასთანავე საქართველო განაგრძობდა სელჩუკიან სულთანებისათვის დამამცირებელი ხარკის ძლევას.

ქვეყნის წინაშე მდგარი, სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ამოცანებისათვის წარმატებით ბრძოლას სათავეში უნდა ჩასდგომოდა განსაკუთრებული პიროვნული ღირსებებით დაჯილდოებული სახელმწიფო მოღვაწე. სწორედ ასეთი იყო გიორგი მეორის ძე დავით მეოთხე, შემდეგში აღმაშენებლად წოდებული, რომელიც 1089 წელს 16 წლის ჭაბუკი ავიდა სამეფო ტახტზე.

ბუნების მიერ მძლავრი გონებითა და რკინისებური ნებისყოფით დაჯილდოებული, თავისი დროისათვის ღრმად განსწავლული დავით მეოთხე ადრევე ჩამოყალიბდა ძველი საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე უფრო გამოჩენილ სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწედ. იგი დიდბუნებოვანი, თავისი დროის მოწინავე აზროვნების კაცი იყო.

დაუღალავმა, დასახული მიზნის განხორციელებისათვის შრომაში უდრეკმა დავით მეოთხემ უკვდავყო თავისი სახელი შემოქმედებითი სახელმწიფოებრივი საქმეებით, რის გამოც მას „აღმაშენებელი“ ეწოდა.

დავითმა უწინარეს ყოვლისა, თავი მოუყარა აღმოსავლეთ საქართველოს ბარიდან გაქცეულ-დაფანტულ მოსახლეობას და ლტოლვილები თავ-თავის ადგილას დაუბრუნა. შემდეგ იგი მისდგა ქვეყნის სისუსტისა და დამარცხების მთავარ დამნაშავეებს—დიდგვარიან აზნაურებს, რომელთაც კლდეკარის ერისთავები—ბაღვაშები მეთხურობდნენ. მან საქართველოდან გააძევა ბაღვაშების თავკაცი ლიპარიტი და კლდეკარის საერისთავოც თვითონ დაიპირა.

დავითი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს მიწა-წყლის შემოკრების ამოცანას. მისი სამეფოს გარეთ იყო ამ დროის კახეთი და თბილისის საამირო. მეფემ კახეთიდან დაიწყო. 1101 წელს კახთა მეფეს წაართვა ზედაზნის ციხე. სამი წლის შემდეგ ჰერეთის დიდებულებმა თვით კახთა მეფე აღსართანიც შეიპყრეს და დავითს გადასცეს. დავითმა უკვე საბოლოოდ შემოუერთა კახეთ-ჰერეთი საქართველოს სამეფოს.

როცა შინაურებში ზურგი გაიმაგრა, ის კვლავ სამხედრო საქმეებზე გადავიდა, რათა აღმოსავლეთ საქართველოში მდგარი სელჩუკიანთა მეციხოვნე რაზმებიც გაენადგურებინა და ბოლომდე მიეყვანა საქართველოს გაერთიანების საქმე.

1110 წელს დავითმა გამოსტაცა თურქებს სამშვილდე. სამშვილდის აღება იმდენად დიდი გამარჯვება იყო ქართველებისა, რომ ამით შეშინებულმა თურქებმა, ქვემო ქართლის ციხეების უმეტესობა თვითონვე მიატოვეს და გაიქცნენ.

1115 წელს დავითმა თურქებს წაართვა ციხე-ქალაქი რუსთავი, ხოლო 1117 წელს ხელთ იგდო ჰერეთის ციხე-ქალაქი გიში. 1118 წელს ქართველთა ჯარმა ბრძოლით აიღო ლორის ძლიერი ციხე.

ამ ძლევამოსილი ბრძოლებით დავითი თანდათან თბილისს უახლოვდებოდა, მაგრამ საქართველოს დედაქალაქის—თბილისის აღებისათვის საჭირო იყო შეიარაღებულ ძალთა ორგანიზაციის არსებითი გაუმჯობესება. დავით მეფემ გადაწყვიტა ისეთი შეიარაღებული ძალა შეექმნა, რომელიც მტკიცე შინაგანი ერთობით შეკავშირებული, მუდამ მზად იქნებოდა ბრძოლისათვის და საკვლებით დაემორჩილებოდა მეფის ნება-სურვილს.

მეფემ გადაწყვიტა საქართველოში გადმოეყვანა ყივჩაყები, ყივჩაყები ჩრდილო კავკასიისა და სამხრეთ რუსეთის ველებზე მომთაბარე, ძლიერი და მეომარი ტომი იყო. 1118 წელს დავითი თავისი უახლოესი მრჩევლებისა და თანაშემწეების თანხლებით ჩრდილო კავკასიაში გადავიდა. იქ საქართველოსა და ყივჩაღებს შორის ოსები ესახლენ, რომლებიც ყივჩაღებს მტრობდნენ, დავითმა დაიმორჩილა ისინი, დაიპირა ოსეთის ციხეები და გზებიც გახსნა.

მეფემ 45.000 ყივჩაყის ოჯახი გადმოასახლა საქართველოში, მიუჩინა მათ მიწა და ყველაფერი მისცა რაც სამხედრო სამსახურისათვის სჭირდებოდათ. ორი წლის შემდეგ საქართველოს უკვე ჰყავდა 40.000 ცხენოსანისაგან შემდგარი მუდმივი ლაშქარი.

დავითმა შინაურობაში ძირითადად მშვიდობიანობა დაამყარა და მას საშუალება მიეცა კვლავ შესდგომოდა თურქებთან ბრძოლას. 1120 წელს მეფემ შარვანში გაილაშქრა, ციხე-ქალაქი კაბალა აიღო. იგი სულის მოთქმას არ აცლიდა თურქებს, ხან ერთ ადგილას დაეცემოდა მათ, ხან მეორე ადგილას. ძალზე შევიწროებულმა კავკასიელმა თურქებმა საჩივრით მიმართეს სულთანს, რათა მათ დავითის წინააღმდეგ დახმარებოდა.

სულთან მაჰმუდ მოჰამედის ძე მაშინვე გამოეხმაურა კავკასიელ თურქთა თხოვნას და სასწრაფოდ დიდი ლაშქრის ორგანიზაციის თადარიგი დაიჭირა. მან მაჰმადიან მფლობელთა ერთ ნაწილს მოუწოდა, ხოლო მეორეთ უბრძანა; ვინც კი სადმე იყო დამასკო და ალეპოდან მოკიდებული, ყველას, მოლაშქრეობის შემძლებელს მონაწილეობა მიეღოთ საქართველოს წინააღმდეგ ომში.

1121 წლის 10 აგვისტოსათვის თურქ-სელჩუკთა კოალიციური ლაშქრის ძირითად ძალებს თრიალეთ-მანგლის-დიდგორის მიდამოებში, მისი ყველა ძირითადი გზა და მისადგომი დაკავებული ჰქონდათ.

კოალიციური ლაშქრის ნაწილმა წალკის მხარეში, მანგლის-დიდგორში დაიბანაკა, მეორე ნაწილმე, დიდგორის კალთებიდან შემოსულმა დიღმის ხეობა დაიჭირა. ასე, რომ მტრის ლაშქარით იყო გაკვლებული როგორც ქვემო, ასევე ზემო დიდგორი.

მტერთაგან შემოსევის მოულოდნელობამ ერთგვარად ხელი შეუშალა დავით მეფეს სრულად გამოეყენებინა თავისი ძალები. მაგრამ დაყოვნება აღარ შეიძლებოდა და მეფემაც გადაწყვიტა დაესწრო მტრისათვის, შეეტია მისთვის მთიან-ტყიან ადგილებში.

დავით მეფემ დიდი სისწრაფით ატარა თავისი სამოცათასიანი ლაშქარი და ნიჩბისის საკმაოდ გაშლილი ხევით, მანგლისის ჩრდილოეთით, დიდგორის მთაზე შეაგება იგი თურქებს.

საქართველოს ლაშქარის ერთი ნაწილი მეფის მემკვიდრის დემეტრეს სარდლობით დიდგორის ერთ მთათაგანს აფარებდა თავს და იქიდან აპირებდა მოულოდნელ თავდასხმას. პირველი ბრძოლა ძირითად ნაწილს უნდა მიეღო, აქ კი თვით დავითი იდგა, მას დასავლეთიდან უნდა შეეტია. ამრიგად ყველაფერი მზად იყო გადამწყვეტი ბრძოლებისათვის.

დიდგორის ბრძოლა 1121 წლის 12 აგვისტოს დაიწყო. მიტევაზე პირველად ქართველთა ლაშქარი გადავიდა. ბრძოლის დაწყების წინ დავით ალამაშენებელს ერთი ტაქტიკური ხერხისათვის მიუმართავს—ორივე მოწინააღმდეგე ლაშქარი საომრად გამწკრივდა, ქართველთა ჯარს 200 მხედარი გამოეყო და მტრის რაზმისაკენ გაემართა. მაჰმადიანთა რაზმის სარდლობას ეს მხედრები ეგონათ მათ მხარეზე გადასულნი, ალბათ დავით მეფეს უღალატეს და შეწყალების სათხოვნელად მოდიანო, ამიტომ ისინი დაუბრკოლებლად შეუშვეს თავიანთ განლაგებაში, მაგრამ გულადმა ქართველებმა უეცრად იარაღი იშიშვლეს და დაერივნენ გაოცებულსა და დაბნეულ თურქებს. მაჰმადიანთა ჯარების წინა რაზმები აირივნენ, უკან მდგომ რაზმებს ეგონათ დავმარცხდითო და გაიქცნენ.

დავით მეფემ ისარგებლა მტრის არევ-დარევით და ელვისებურად ეკვეთა მისი ლაშქარი მტერს ნიჩბისის ხევით, ხოლო დიდგორის ერთ-ერთი მთიდან დემეტრე დავითის ძე დაეშვა თავისი ლაშქარით და მთის ძირში საომრად დაწყობილ თურქ-სელჩუკთა ლაშქარს მედგრად შეუტია. მაჰმადიანთა უზარმაზარი ჯარი სასტიკად დამარცხდა, ქართველთა ლაშქარმა 1121 წლის 12 აგვისტოს დიდგორის ველზე თურქ-სელჩუკთა კოალიციურ ჯარებთან გადამწყვეტ ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. თურქ-სელჩუკთა დიდმა კოალიციურმა ლაშქარმა სასტიკი დამარცხება იგემა არა მარტო დიდგორის ველზე, საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ მის საზღვრებს გარეთაც.

დიდგორის ველზე მოპოვებული გამარჯვება იყო ქართველი ხალხის გამარჯვება დამოუკიდებლობისა და თვითმყოფობისათვის ბრძოლაში. ეს ბრძოლა მოიგო ქართულმა ლაშქარმა, მათმა თავგანწირულმა ბრძოლამ და იმ მოსახლეობამ, რომლებმაც, უზრუნველყვეს ლაშქარი ცხენებით, იარაღ-საჭურველით, სურსათ-სანოვაგითა და ყველაფერი იმით, რაც საჭირო იყო გამარჯვებისათვის. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა დავით აღმაშენებლის ბრწყინვალე სამხედრო ნიჭმა.

დიდგორის ბრძოლამ დაამტკიცა, რომ საქართველო ახლო აღმოსავლეთის ერთი უძლიერესი სახელმწიფოთაგანი იყო.

თერთმეტი დღე კრემლის ყრილობათა სასახლეში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობა, რომლის მშფოთვარე სუნთქვას ჯერ ადიდევ აშკარად გრძნობს თითოეული ჩვენთაგანი, თანდათანობით, ყოველი დღის შემდეგ ისტორიას ! ბარდება, მაგრამ ფიქრადაც არავის მოსვლია, რომ მას ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა ეწოდოს და მადლობა ღმერთს.

კრემლის უზარმაზარ ყრილობათა სასახლეში თერთმეტი დღის განმავლობაში იმიტომ კი არ იკრიბებოდა მთელი პარტიის ნდობით აღჭურვილი ოთხიათასხუთასზე მეტი კომუნისტი, რომ მსოფლიო არქივების ანალებში ჩაწერილიყვნენ. იმისათვის არ გადააჯვარედინებდნენ ხოლმე პოლიტიკურ და ემოციურ დაშნებს, რათა ეღიარებინათ, რომ უკან დასახევი გზა აღარ არის, რომ ჩვენი საერთო უბედურების ყველა დამნაშავე როდია ლინჩის წესით გასამართლებული. თუმცა ზოგჯერ გვეჩვენებოდა, რომ სწორედ „ამისათვის“.

ყველაფერი იყო ყრილობაზე—მწარეც, მარცხისა და ჩავარდნის თვითმგვემი აღიარებაც, პოლიტიკური თვალთმაქცობის მხილებაც, წარსული „პურ-მარილებისადმი“ სევდაც, ბაზრისაკენ წინგაჭრის მგზნებარე მოწოდებებიც, რომელსაც ცვლიდა გაფრთხილება—წინდაუხედავად ნუ იქროლებენ... უკან, ბაზრისაკენ, კონსტრუქტივიზმის უსასრულო სიუხვეც, რომელშიც თუ უფრო გულდასმით განვიხილავთ, სხვას ვერაფერს აღმოვაჩენთ თუ არა მოდისადმი, კონსტრუქტივიზმისადმი ვალის მოხდას... და მაინც ამის გამო ხომ არ არის, რომ თერთმეტდღიანი პოლიტიკური ბატალიების შესახებ ერთმანეთის საწინააღმდეგო შთაბეჭდილებებიდან ყველაზე წონადი რჩება რაღაც გამოცარიელებული მწარე გრძნობა.

რასაკვირველია, შთაბეჭდილება—სუბიექტური ფაქტორია. შეიძლება შეცდე. ღმერთმა ქნას. მით უმეტეს, რომ ყრილობის გადაწყვეტილებათა გააზრება, პარტიის, საზოგადოების, სახელმწიფოს გარდაქმნისათვის მისი მნიშვნელობის ანალიზი, წინ არის. შეძლებს თუ არა პარტია აღორძინდეს ჭეშმარიტად რევოლუციურ ჰუმანისტურ ძალად, რომელსაც უნარი ექნება საქმით ჩაუნერგოს ადამიანებს რეალური უკეთესი ხვალინდელი დღისადმი რწმენა, უჩვენოს მისკენ მიმავალი ზუსტი გზა, თან გაიყოლიოს ისინი? კითხვა, რომლის ირგვლივაც ჩქეფდა მღელვარე სიტყვების ნაკადი, მაინც ვერ გაექანა მეცნიერულად დაფუძნებული პერსპექტივის უხილავ კალაპოტში.

კამათში იბადება ჭეშმარიტება. ძველი ხალხი მართალი იყო: იბადება. ეს მაშინ, როცა მოკამათეები მისკენ ისწრაფვიან. მაგრამ ეს მაშინ, როცა თითოეული, რომ იტყვიან გონიერია? სრულიადაც არ ვამტკიცებთ, რომ ყოველი იმათგანი ვინც კი მიკროფონს ჩაიგდებდა ხელში, მისკენ დაფარული მზაკვრობით მიისწრაფვოდა. არა, ადამიანები მიკროფონთან მიდიოდნენ ძირითადად გულისტკივილით ღრმა საზოგადოებრივი და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის გამო და ხშირად ისინი მიაგვანდნენ ჩიტს, რომელიც ცდილობს თავი დააღწიოს ბადურის რკინის წნულს.

ბოლოს და ბოლოს ყველაფერი ხომ ჩვენზე არის დამოკიდებული.

ვ. პეტრუნია.

გვთავაზობს კოოპერატივი „ცაგერი“

სულ უფრო იკიდებს ფეხს ჩვენს რაიონში კოოპერატივები. უკვე ოთხ ათეულზე მეტი კოოპერატივი ფუნქციონირებს.

ერთ-ერთი მათგანია ცაგერის აგროსამრეწველო გაერთიანებასთან შექმნილი ადგილობრივი რესურსების დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის კოოპერატივი „ცაგერი“ (თავმჯდომარე სულიკო ყურაშვილი), რომელიც აწარმოებს ადგილობრივი რესურსების დამზადებას და რეალიზაციას საზღვარგარეთის და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რეგიონებში პროდუქციის გაცვლის წესით.

კოოპერატივ „ცაგერს“ გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ქ. გორკის მრავალპროფილიან სავაჭრო-საწარმოო კოოპერატივ „ლაბირინთთან“. ამ ხელშეკრულებით კოოპერატივები „ლაბირინთი“ და „ცაგერი“ მორიგეობით გამოდიან მიმწოდებლისა და დამკვეთის როლებში. „ლაბირინთი“ კისრულობს ხე-ტყის, ავტოტრანსპორტის, სპეცტანსაცმლის ქსოვილების, სამშენებლო რკინისა და სხვადასხვა სამშენებლო მასალების მოწოდებას.

თავის მხრივ კოოპერატივი „ცაგერი“ გაუგზავნის ბოსტნეულისა და ხილის პროდუქციას, სხვადასხვა სახის ხილს: ქლიავს, ვაშლს, მსხალს, ხურმას, ჩირს, ციტრუსებს; სამკურნალო-მინერალურ წყლებს, სამკურნალო მცენარეებს, ჩურჩხელას და სხვა.

ხელშეკრულება ხუთი წლის ვადითაა გაფორმებული.

ამასთან, კოოპერატივი „ლაბირინთი“ ხელშეკრულებით 100 ათასი მანეთის ფინანსურ დახმარებას მისცემს წარმოების განვითარებისათვის, თანხის დაბრუნების პირობით.

გარდა ამისა, კოოპერატივის ხელმძღვანელობას განზრახული აქვს დადოს ხელშეკრულებები ქვეყნის სხვადასხვა საწარმოებთან და კოოპერატივებთან, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების საქმიან წრეებთან.

ერთი სიტყვით კარგ საქმეს ეყრება საფუძველი, რაიონის მოსახლეობას საშუალება ეძლევა სხვადასხვა პროდუქციის შეგროვების და მისი კოოპერატივზე მიყიდვისა, აგრეთვე შემოტანილი სხვადასხვა დეფიციტური საქონლისა და სამშენებლო მასალების შეძენის, რომელიც ასე საჭიროა ლეჩხუმის მეწყრული რეგიონისათვის.

კოოპერატივი „ცაგერი“ ახლა იწყებს ფუნქციონირებას და, რა თქმა უნდა, ჯერ ბევრი პრობლემა აქვს გადასაწყვეტი, საჭიროებს დახმარებას რაიონის ხელმძღვანელობისაგან, ყურადღებას მოსახლეობისაგან. თავის მხრივ კოოპერატივის ხელმძღვანელობა მომავალში ბევრი კარგი საქმის გაკეთებას გვპირდება.

გ. ჩარკვიანი.

სხვადასხვა

სიმინდი — მკურნალი

სიმინდის მარცვალი ძალზე მდიდარია საკვები ნივთიერებებით, ვიტამინებით და მიკროელემენტებით — კაროტინით, ვ ჯგუფის ვიტამინებით, ე ვიტამინით, მაგნიუმით და ა. შ. ერთ-ერთი ჰიპოთეზის თანახმად ადამიანებში, რომლებიც ჩვეულებრივ ბევრ სიმინდს ჭამენ, იშვიათად გვხვდება ავთვისებიანი დაავადებანი იმის გამო, რომ ორგანიზმი რეგულარულად ღებულობს მაგნიუმის გარკვეულ რაოდენობას. სიმინდი შეიცავს გუტამინის მჟავას, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტვინის უჯრედების მუშაობაში. ალბათ ამიტომ ნედლი სიმინდის რძე ხალხურ მედიცინაში გამოიყენება საერთო გადაღლილობისა და ცენტრალური ნერვული სისტემის ზოგიერთი [illegible] დაავადების დროს. [illegible] წყალობით სიმინდი დადებით გავლენას ახდენს გასტრიტზე, კუჭის წყლულზე, წვრილი და მსხვილი ნაწლავის ანთებაზე.

სიმინდის ფოჩის ნახარში—კიდევ ერთი ხალხური საშუალებაა, რომელიც გამოიყენება თირკმელების კენჭოვანი დაავადებების, შარდისა და ნაღვლის ბუშტის, ქრონიკული ჰეპატიტის სამკურნალოდ. ამის გარდა, იგი საერთო დამაწყნარებლად მოქმედებს და აქვეითებს მადას.

კვების შესახებ მეცნიერების სფეროს სპეციალისტთა აზრით სიმინდის ზეთი ხელს უწყობს ორგანიზმიდან ქოლესტერინის გამოდევნას, რაც ასე მნიშვნელოვანია ათეროსკლეროზის თავიდან ასაცილებლად. და ბოლოს, სიმინდის თაფლი (სიმინდი თაფლის მომცემი მცენარეა) კარგად მოქმედებს ჰიპერტონიის ზოგიერთ ფორმაზე.

მხარს ვუჭერთ გაზეთის პოზიციას

გულისტკივილით წავიკითხე გაზეთ „ლეჩხუმის“ 9 აგვისტოს ნომერში მოთავსებული წერილები, რომლებიც კიდევ ერთხელ ეხება ქალაქის ცენტრში წვითა და დაგვით ჩვენს მიერვე კეთილმოწყობილი სასამსახურო ეზოების, სკვერების, გაზონების, თვით ქალაქის ცენტრალური ბაღის, ჩვენი ბავშვობის დროინდელი საყვარელი „ბულვარის“ გამჩანაგებელ სიტუაციას, რასაც ვაითანაქალაქელთა უპატრონო პირუტყვის თარეში იწვევს.

ასე მართლაც ყველას შეგვიძლია პირუტყვის მოშენება კერძო სექტორში, თუ არაფრად ჩავაგდებთ სხვათა ინტერესებს, საერთო თანაცხოვრების ელემენტარულ წესებს და შუბლის ძარღვს გავიწყვიტავთ. ღორებს, გოჭებს, ქათმებს, ბატებს, ინდაურებს, ძროხებსა და ბაწარჩაბმულ ხბოებს ვინღა ჩივის, ერთი კვირაა ვირებიც შემოგვეჩვივნენ—განმკითხავი კი არავინაა! უპრიანია აღდგეს ცაგერის საქალაქო საბჭო, (რომელიც მართლაც ხელაღებით გააუქმეს), რათა ქალაქს კონკრეტული პატრონი გაუჩნდეს, თუნდაც ახალი სამსახურების დამატებით. სხვაგვარად ამ საქმეს არ მოევლება!

მ. ყურაშვილი,

სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცაგერის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე.

დაოჯახდით!

თუ გინდათ დიდხანს იცოცხლოთ, სასწრაფოდ დაოჯახდით,— გვირჩევენ კუბელები. მარტოობა უფრო სწრაფად კლავს ადამიანს, ვიდრე თუთუნი და ალკოჰოლი—თვლიან ისინი. როგორც იქ ჩატარებული გამოკითხვები მოწმობს, კუნძულის მცხოვრებთა უმრავლესობა დარწმუნებულია: უკეთესია იმყოფებოდე ცუდ კამპანიაში, ვიდრე მარტოობაში.

უჭმელად — 382 დღე

რამდენ ხანს შეიძლება გასძლოს ადამიანმა უჭმელი? შოტლანდიელმა ანგუს ბარბერიმ უჭმელად 382 დღე გასძლო. იგი ძირითადად სვამდა მხოლოდ ჩაის, ყავას, წყალს, ღებულობდა ვიტამინებს ამ მკაცრმა დიეტამ, რა თქმა უნდა, მის ფიგურაზეც იმოქმედა. მან 132 კილოგრამი დაიკლო. შიმშილამდე იგი 212-ს იწონიდა.

უკრაინის სსრ. კიევის შევჩენკოს რაიონის №143 საბავშვო ბაღში ხშირად ჰყავთ სტუმრები. მაინც რით იზიდავს ეს ჩვეულებრივი სკოლამდელი დაწესებულება მათ?—კლუბ „ჯერელოთი“ („წყარო“), რომლის მონაწილეები გახდნენ აღსაზრდელები.

მეცადინეობის მიზანია უკრაინული ენის ხმარების სფეროს გაფართოება აღსაზრდელებსა და ბავშვებს შორის, ეროვნული კულტურის პროპაგანდა [illegible]

სურათზე: საბავშვო ბაღის აღსაზრდელი.

გილოცავთ

ლილი ინდიკოს ასულ ბენდელიან-კვირკაშვილს

გილოცავთ 50 წლის შესრულებას. გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს თქვენს საყვარელ შვილებთან ერთად.

ლამარა, თინა, ნონა, ვაჟა კოპალიანები.

ლილი ინდიკოს ასულ ბენდელიან-კვირკაშვილს

სულითა და გულით გილოცავთ 50 წლის შესრულებას. გისურვებთ ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს.

მელორი, მერაბ დავითულიანები, ამირან, გოგი კვირკაშვილები.

მადონა გურგენის ასულ ხუციძეს ლერი გივის ძე ჯაბურიას

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. ერის სასახელო ქალი აღზრდილიყოს.

ალპანის დარგობრივი სავაჭრო გაერთიანების თანამშრომლები.

შორენა გორეზიანს

გილოცავთ უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვას, სულ წარმატებები და სიხარული გქონოდეთ.

რომან ობოლაძე, ნუგზარ ხეცურიანი.

რედაქტორი ნ. ნემსაძე.

შვილები ნანული, დემური, აზა, როზა, რძალი ლედი შკუბულიანი, სიძეები ანზორ ნემსწვერიძე, ავთანდილ კვატაშიძე, შვილიშვილები ლელა, ბელა, გელა, მალხაზი, შორენა, ნინო, ბიძაშვილი ქოზია ფრუიძე, დისშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ოლია ანტონის ასული ფრუიძე-ყვირილიანი.

დაკრძალვა 18 აგვისტოს, შაბათს, სოფ. ალპანაში.

ზოგიშის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა

ნათელა სიმონის ასული წულუკიძე-ფრუიძე.

ალპანის სასოფლო საბჭოს თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნათელა სიმონის ასული წულუკიძე.

ლაილაშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ გულნარა ვაწაძეს მამის

ნიკანდრო გრიგოლის ძე ვაწაძის

გარდაცვალების გამო.

დათო ხეცურიანი, ჯუმბერ ცვარიანი, ზაურ ახვლედიანი, ბახვა კოპალიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ მაყვალა, გელა მამარდაშვილებს ბიცოლის

ლიდა მამარდაშვილის

გარდაცვალების გამო.

ალპანის საშუალო სკოლის მოსწავლეები და მოსწავლეთა მშობლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის პედაგოგი

ნათელა სიმონის ასული წულუკიძე-ფრუიძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ტვიშის სასოფლო საბჭოსა და კავშირგაბმულობის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ აზა, ანზორ ნემსწვერიძეებს დედისა და სიდედრის

ოლია ყვირილიანის

გარდაცვალების გამო.

მიხა შკუბულიანი ოჯახით თანაუგრძნობს დემური და ლედი ყვირილიანებს დედისა და დედამთილის

ოლია ანტონის ასული ფრუიძე-ყვირილიანის

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, განყოფილებების: სოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-48, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23,
გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, ინდექსი 66589, შეკვეთა 67 ტირაჟი [illegible]
საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.